ვებინარი თემაზე:

,,უსაფრთხოების ფილოსოფია"

მიმდინარე წლის 5 ივნისს 21 საათზე ,,უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის" (უსმა/ usma) ორგანიზებით გაიმართება ვებინარი თემაზე: ,,უსაფრთხოების ფილოსოფია". ღონისძიების მოდერატორები: ასოციაციის თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი ბესიკ ობოლაძე და თამარ ახალკაციშვილი - ასოციაციის პროექტების კოორდინატორი; სპიკერები: მამია (მამუკა) სურმავა - ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი; ალიკა გუჩუა - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; ნინო შუკვანი - პოლიტიკის ფილოსოფოსი.

დამსწრეთა წინაშე წარსდგებიან ანალიტიკურ ორგანიზაცია ,,ჯეოქეისის" თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი გიორგი ანთაძე და უსაფრთხოების ექსპერტი, დაცვის სამსახურ ,,მაგისტრის" დამფუძნებელი- თორნიკე ჯოჯუა. მოხსენებას ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციასა და მის გავლენაზე საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზე გააკეთებენ თამარ რუსეიშვილი - უსაფრთხოების მკვლევარი და თინათინ ობოლაძე -საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი დემოკრატიული თანამეგობრობის ორგანიზაციაში (CoD).

შეხვედრაზე გაანალიზდება უსაფრთხოების პრობლემატიკა, როგორც ისტორიულად ცვლადი ამოცანა საზოგადოების განვითარებისა და თვითგადარჩენის პოზიციიდან, შეფასდება, რომ უსაფრთხოებას გააჩნია ადამიანური განზომილება სოციალური განვითარების ნებისმიერ ეტაპზე და იგი წარმოგვიდგება, როგორც ერთ - ერთი უმთავრესი ღირებულება და წინაპირობა თავად ადამიანის ყოფისა და საზოგადოების განვითარებისა. აღნიშნულიდან გამომდინარე შეხვედრაზე იქნება საუბარი უსაფრთხოების აქსიოლოგიურ და სოციო-კულტურულ ხასიათზე.